საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

რექტორის

ბრძანება №01-00/09

ქ. თბილისი 15. 11. 2010

2010-2011 სასწავლო წლის გახაფხულის სემესტრის დაგეგმვის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის", ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" წესდების მე-6 მუხლის, ამავე უნივერსიტეტის დებულების მე-10.4 პუნქტის, აკადემიური საბჭოს 2010 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტში" 2011 წლის საგაზაფხულო სემესტრი განისაზღვროს 19 კვირით (15 კვირა – სააუდიტორიო მუშაობისათვის);
2. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის პერიოდი განისაზღვროს 23-დან 27 თებერვლამდე;
3. სააუდიტორიო მეცადინეობები დაიწყოს 28 თებერვლიდან და გაგრძელდეს 19 ივნისამდე;
4. შუალედური გამოცდებისთვის დადგინდეს შემდეგი ვადები:
   ა) პირველი შუალედური გამოცდა ჩატარდეს სემესტრის მე-6 კვირაში (4 - 10 აპრილი) საჭიროების შემთხვევაში განმეორებითი გამოცდა დაიგეგმოს მომდევნო, მე-7 კვირაში (11 - 17 აპრილი);
   ბ) მეორე შუალედური გამოცდა ჩატარდეს მე-11 კვირაში (16-22 მაისი). საჭიროების შემთხვევაში განმეორებითი გამოცდები ჩატარდეს 23-დან 29 მაისამდე;

5. საადგომო არდადეგების პერიოდი განისაზღვროს 19-დან 25 აპრილის ჩათვლით;
6. დასკვნითი გამოცდა ჩატარდეს მე-16 – მე-18 კვირებში 20 ივნისიდან 10 ივლისამდე;
7. 2011 წლის საგაზაფხულო სემესტრის დამატებითი გამოცდები ჩატარდეს 2011 წლის სექტემბერში ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე 1 კვირით ადრე;
8. ყოველი გამოცდის დასრულებისთანავე გაფორმებული საგამოცდო უწყისები ჩაბარდეს დეკანატსა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს;
9. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს (ე. კოპალიანი);
10. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე;

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი,
პროფესორი სერგო ვარდოსანიძე